ხელშეკრულება 01-08-15/1173-2021-2

ქ.თბილისი, 31 დეკემბერი 2021 წელი

ერთის მხრივ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ს/კ 211349192), (შემდგომში უნივერსიტეტი) წარმოდგენილი მისი რექტორის დავით გურგენიძის მიერ (შემდგომში „უნივერსიტეტი") და მეორეს მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (შემდგომში ბიურო) ბიუროს უფროსის მამუკა ჯანგულაშვილის მიერ, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და კეთილსაიმედო პარტნიორული ურთიერთობების განვითარების მიზნით, ვთანხმდებით ჩვენს შორის ურთიერთთანამშრომლობის შემდეგ პირობებსა და მათ სრულად, ჯეროვნად და დათქმულ ვადებში შესრულებაზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში, ბიური იღებს ვალდებულებას მიიღოს პრაქტიკაზე, უნივერსიტეტის სამშენებლო და/ან სამშენებლო საინჟინრო ფაკულტეტის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის არაუმეტეს 10 (ათი) სტუდენტი და უზრუნველყოს სასწავლო კურსით „საწარმოო პრაქტიკა" გათვალისწინებული პრაქტიკის განხორციელება. პრაქტიკის მაღალ დონეზე წარმართვის მიზნით, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ბიუროს სარგებლობაში არსებული ბაზა. სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან არაუმეტეს 8 (რვა) კალენდარული კვირის განმავლობაში.

2. უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობანი

2.1 „უნივერსიტეტი" ვალდებულია პრაქტიკის კურსის დაწყებამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე შეუთანხმოს „ბიუროს" პრაქტიკანტების რაოდენობა, ვინაობა, პრაქტიკის თემატიკა და ხანგრძლივობა.

2.2 „უნივერსიტეტი" უზრუნველყოფს „ბიუროს" მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე არსებულ ექსპლუატაციის პირობების სრულ დაცვას. „უნივერსიტეტი" იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს ზიანი „ბიუროს" მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრაქტიკანტების ბრალით დაზიანების შემთხვევაში.

2.3 „უნივერსიტეტი" ვალდებულია აუნაზღაუროს ბიუროს წინამდებარე დოკუმენტის 3.6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანი სრულად.

2.4 პრაქტიკის გავლის ადგილზე სტრუდენტების მხრიდან უზრუნველყოს ბიუროს შესაბამისი დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების დაცვა.

3. ბიუროს უფლება-მოვალეობანი

3.1 ბიურო უფლებამოსილია უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სტუდენტები შეარჩიოს გასაუბრების პრინციპით და თავად შეარჩიოს ის სტუდენტები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში გაივლიან პრაქტიკულ კურს.

3.2 „ბიურო" უზრუნველყოფს პრაქტიკის გატარებას შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში. პრაქტიკანტთა თითოეულ ჯგუფს განუსაზღვრავს პრაქტიკაზე პასუხისმგებელ პირს-პრაქტიკის ხელმძღვანელს.

3.3 იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი უარს აცხადებს ბიუროში არსებული სტანდარტების შესაბამისად გაიაროს პრაქტიკა, ან/და სისტემატიურად არღვევს/არ ემორჩილება ბიუროს პირობებს ან უსაფრთხოების წესებს, ბიურო უფლებას იტოვებს კონკრეტულ შემთხვევაში უარი თქვას სტუდენტების მიღებაზე/პრაქტიკის გავლაზე, ან და შეწყვიტოს კონკრეტულ სტუდენტთან პრატიკული კურსი და არ დაუშვას იგი მის ტერიტორიზე.

3.4 „ბიურო" ვალდებულია შერჩეულ სტუდენტებს გააცნოს ბიუროს შინაგანაწესი და უსაფრთხოების დაცვის წესები.

3.5 წინამდებარე მემორანდუმი არ გულისხმობს „ბიურო" ვალდებულებას სტუდენტების შემდგომ დასაქმებასთან დაკავშირებით.

3.6 „ბიურო" უფლებამოსილია მოთხოვოს უნივერსიტეტს და მის სტუდენტებს (ხოლო ეს უკანასკნელნი თავის მხრივ იღებენ ვალდებულებას) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტი და სტუდენტი ვალდებულნი არიან აუნაზღაურონ ბიუროს მიყენებული ზიანი სრულად.

3.7 ბიურო უფლებამოსილია პრაქტიკული კურსის დასრულების შემდგომ, წარმატებულ სტუდენტს შესთავაზოს ბიუროში სტაჟირების გავლა, შემდგომში დასაქმების მიზნით.

4.ფორს-მაჟორი

4.1 თოთოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთალიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობიდან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

4.2 დაუძლეველ ძალად მიიჩნება ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:

4.2.1 ხანძარი ან/და აფეთქება, წყალდიდობა, სტქიური უბედურება;

4.2.2 სამხედრო მოქმედება, აჯანყება, სამოქალაქო ომი;

4.2.3 პანდემია/იზოლაცია/კარანტინი;

4.3 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში;

ბ) მხარეთა შეთანხმებით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.4 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.5 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის წარმოშობილი დავის და უთანხმოების მოგვარება შეუძლებელია მოლაპარაკების გზით, მისი გადაწყვეტა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად.

6. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„ბიური“	„უნივერსიტეტი“
სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მისამართი: ქ.თბილისი, 0160, ჭავჭავაძის ქ. ბიუროს უფროსი: მამუკა ჯანგულაშვილი	სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ ს.კ 211349192 მისამართი: ქ.თბილისი, 0160, კოსტავას ქ.№77 რექტორი: დავით გურგენიძე .....